ზურაბ კვეტენაძე

ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ჩეჩნეთის მეორე ომი და პუტინის ფაქტორი რუსეთის გეოპოლიტიკური ვექტორის ცვლილებაში

დღეისათვის რუსეთის ფედერაციის თანამედროვე პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის არაერთგვაროვანი შეფასება არსებობს. ლიბერალური პოლიტიკური აზრი მას ავტორიტარ მმართველად მიიჩნევს, რომელიც ხელს უშლის რუსეთის დემოკრატიულ განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ის ძლიერი მმართველია, რომ მან წუმპეში ჩაფლული ელცინის რუსეთი ძალზე გააძლიერა და კვლავ ზესახელმწიფოდ აქცია. მკვლევართა და პოლიტიკურ ექსპერტთა მესამე ნაწილის აზრით პუტინი რუსეთისათვის ბუნებრივი მოცემულობაა, რამდენადაც რუსეთი დასავლური დემოკრატია ვერ გახდება მთელი რიგი ფაქტორების გამო, მისთვის სწორედ პუტინის მსგავსი ლიდერია მისაღები. ყველა ამ მოსაზრებას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ვფიქრობთ თანამედროვეთა მიერ პოლიტიკური ლიდერის შეფასება გარკვეულწილად მეცნიერულ აზრს მოკლებულია, ამას დრო ჭირდება, თანაც საკმაოდ ხანგრძლივი დრო, მაგრამ რეალური ფაქტები მაინც გვაძლევს გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომელიც რუსეთში ბორის ელცინის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში შეიქმნა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიშლებოდა რუსეთის ფედერაციაც, მაგრამ რუსეთმა არა მარტო გაუძლო გამოცდას, არამედ პუტინის მმართველობის პერიოდში იგი ძალზე გაძლიერდა და კვლავ ზესახელმწიფოდ იქცა.

ჩეჩნეთის საომარ კამპანიაზე უაღრესად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს რუსი ევრაზიანისტი გეოპოლიტიკოსი ალექსანდრე დუგინი. დუგინი კრემლის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია, რომელიც თავისი არგუმენტებით ამართლებს რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას, მაგრამ აქ მთავარი ის არის, თუ როგორ ეფექტურად ნიღბავს ის რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ჩეჩენ საველე მეთაურებთან მიმართებით.

ბორის ელცინის მმართველობის ბოლო პერიოდში ხასავიურტის სამშვიდობო შეთანხმების შედეგად ჩეჩნეთის შეიარაღებულმა ძალებმა კვლავ აღადგინეს საკუთარი ძალოვანი სტრუქტურები და გააძლიერეს საკუთარი ხელისუფლება. თანდათანობით მათ შორის სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა:

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება, რომელსაც პროდასავლური ორიენტაცია ეკავა (ა. მასხადოვი, ა. ზაკაევი);

ისლამის ეროვნულ-ტრადიციონალისტური ორიენტაციის (ა. კადიროვი, ხ. ნუსაევი);

რადიკალური ვაჰაბიტები, რომლებიც თავიანთ თავს მოიაზრებდნენ ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმომადგენლებად, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჰქონდა ფესვები გადგმული (შ. ბასაევი, მ. უდუგოვი, „შავი ხატაბი“).

სამივე მიმართულება, ცხადია, ორიენტირებული იყო რუსეთის წინააღმდეგ და ებრძოდა მას, მაგრამ მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, იყო განსხვავება [1, 318].

დღეს რუსეთის როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ წრეებში უმთავრესად ფიგურირებს აზრი, რომლის თანახმადაც ვაჰაბიზმი, რომელიც XX საუკუნის 80-90-იან წლებში გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში, თავიდან ბოლომდე ემსახურებოდა საზღვაო სახელმწიფოების ინტერესებს, რომელთა მიზნებშიც შედიოდა სახმელეთო ცივილიზაციის შესუსტება და რუსეთის დანაწევრება. ამიტომ ზემოხსენებული სამივე ჩეჩნური მიმართულება ემსახურებოდა ატლანტიზმის ინტერესებს.

რუსეთის გეოპოლიტიკურ აზრში თითქმის არ არსებობს „დამოუკიდებლობის“ ცნება, ის რომ ჩეჩენი ხალხი იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, ის რომ XIX საუკუნეში რუსეთმა

დაიპყრო ჩრდილოეთ კავკასია და ა. შ. ყველაფერი გადის დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაზე და იმაზე, რომ ატლანტიზმი დღეს რუსეთის მთავარი მოწინააღმდეგეა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩეჩნეთის შეიარაღებულ ძალებში მართლაც იყვნენ ვაჰაბიტები და ის ძალებიც, რომლებიც აფხაზეთში იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. ამის ნათელი მაგალითია შამილ ბასაევის დაჯგუფება, ის მხარს უჭერდა აფხაზ სეპარატისტებს და ამით, ფაქტობრივად, რუსეთს. შემდეგ კი ჩეჩნეთში რუსეთის არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. მეცნიერთა ნაწილი ამას სხვადასხვანაირად ხსნის. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ბასაევი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი იყო, ზოგიერთის აზრით თავიდან ერთად იყვნენ, მაგრამ შემდეგ მოხდა მათ შორის განხეთქილება, ზოგიერთის აზრით, ის უბრალოდ ვაჰაბიტური ისლამის მიმდევარი იყო და ყველგან ისლამის ინტერესებს იცავდა და ა. შ. ფაქტი კი ერთია, ამ დაჯგუფებამ აფხაზეთში რუსეთის მხარდამხარ იომა, შემდეგ რუსეთს ებრძოდა და მასთან დაპირისპირებაში განადგურდა.

რუსეთთან ომის დროს ვაჰაბიტური დაჯგუფების მთავარ მიზანს წარმოადგენდა „მუსლიმანური კავკასიის“ გათავისუფლება რუსეთის იმპერიის უღლისაგან. რუსი გეოპოლიტიკოსის, ალექსანდრე დუგინის აზრით, ეს თავიდან ბოლომდე „ატლანტისური ლოზუნგია“. წარსულთან მიმართებაში, თუნდაც ეს უახლესი წარსული იყოს, მნიშვნელოვანი მხოლოდ მომხდარი ფაქტებია და ალტერნატიულ ისტორიას აზრი არა აქვს, მაგრამ ჩვენ იქითკენ ვიხრებით, რომ ბასაევის დაჯგუფება რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა, რადგან რუსეთის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ჩეჩნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ტერორიზმად მოენათლა და ამას მან მსოფლიოს თვალში გარკვეულწილად მიაღწია კიდეც სწორედ ამ დაჯგუფებების მოქმედების შედეგად. ჩეჩნეთის დემოკრატიულ ნაწილს კი (დუდაევი, მასხადოვი, ზაკაევი და ა. შ.) უბრალოდ ძალა არ შესწევდათ, მათ წინ აღდგომოდნენ, რადგან ეს უკვე შიდა დაპირისპირებას გამოიწვევდა.

1999 წლის 7 აგვისტოს, „ისლამის სამშვიდობო ბრიგადა“ ბასაევისა და ხატაბის მეთაურობით დაახლოებით 400-500

მებრძოლით დაუბრკოლებლად შევიდა დაღესტანში ბოტლიხის რაიონში და დაიკავა მთელი რიგი სოფლები: ანსელტი, რახატა, ტანდო, შოდროდა, გოდობერი. ოპერაციას მათ დაარქვეს „იმამ ყაზი მაღომა“. აგვისტოს ბოლოსთვის რუსეთის ფედერალურმა ძალებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს მოწინააღმდეგის უკუგდება. მასში ადგილობრივი მილიციაც მონაწილეობდა.

ამის შემდეგ, 4-16 სექტემბერს, იმავე 1999 წელს საცხოვრებელი სახლები აფეთქდა მოსკოვში, ბუიუნაკსკსა და ვოლგადონსკში. იყო მნიშვნელოვანი მსხვერპლი. ეს საშინელი ტერაქტები იყო. ოფიციალური ვერსიით ტერაქტები განახორციელა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებამ, ისლამურმა ინსტიტუტმა „კავკასიამ“ შამილ ბასაევის, ემირ ალ ხატაბისა და აბუ უმარის ხელმძღვანელობით [2, 259].

1999 წლის 5 სექტემბერს ჩეჩენ მებრძოლთა რაზმი ბასაევისა და ხატაბის მეთაურობით კვლავ შეიჭრა დაღესტანში. დაღესტანს რუსეთის წინააღმდეგ კავკასიელთა ბრძოლაში საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. ისტორია ამას ადასტურებს, მაგრამ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბასაევისა და ხატაბის შეიარაღებული ფორმირებები თავიდან ბოლომდე რუსეთის სპეცსამსახურების მერ კონტროლდებოდა და მას არაფერი ჰქონდა საერთო ლეგენდარული შამილის მებრძოლებთან, რომელთაც სწორედ დაღესტანში გაწირეს თავი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ბასაევმა და ხატაბმა ოპერაციას ამჯერად „იმამ ჰამზათ ბეგი“ უწოდეს. აი, რას წერს ამის თაობაზე დუგინი: „ეს იყო გარდამტეხი მომენტი რუსეთის უახლეს ისტორიაში. სეპარატისტულმა ჩეჩნეთმა მიიღო რა ამოსუნთქვის საშუალება ხასავიურტის შეთანხმების შემდეგ, იქცა კავკასიაში და კერძოდ დაღესტანში აქტიური სეპარატიზმის გავრცელების წყაროდ ვაჰაბიტური დროშის ქვეშ“ [1, 483]. ამას, რა თქმა უნდა, ვერ იტყოდა ვერც დუდაევის, ვერც მასხადოვის და ვერც იანდარბიევის შემთხვევაში, მაგრამ ბასაევსა და ხატაბზე რუსულ გეოპოლიტიკას მნიშვნელოვანი იდეოლოგიური საფუძველი ექნებოდა და ამ იდეოლოგიამ წარმატებით იმუშავა კიდეც. ასეთი ძალების წინააღმდეგ ყველანაირი საშუალების

გამოყენებისათვისაც კი ვერავინ დაგძრახავს, თუ ატომურ იარაღს არ ჩავთვლით.

რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორჭოფულმა და გაურკვეველმა პოზიციამ ბორის ელცინის მეთაურობით, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო, ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ტერორისტებმა ჩეჩნეთის გარეთ დაიწყეს მოქმედება: შევიდნენ დაღესტანში, ტერაქტები მოაწყვეს რუსეთის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში [3, 401]. ეს იყო უკვე წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთის იქით რუსეთის ნგრევა დაიწყებოდა. რუსულ „გეოპოლიტიკურ მთელს“ საფრთხე შეექმნა. ვაჰაბიტებს რომ წარმატებისათვის მიეღწიათ, ჩრდილო კავკასიას მიჰყვებოდა რუსეთის სხვა ისლამური რეგიონები ერთი მეორის მიყოლებით.

ელცინი მიხვდა, რომ ის ურთულეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, კორუმპირებული ოლიგარქებით გარემოცული, რომელთაც გარეგნულად მაინც პროდასავლური ორიენტაცია ეკავათ და ლიბერალი რეფორმატორების სახელს ატარებდნენ. ელცინი იმასაც მიხვდა, რომ პრემიერ მინისტრი სერგეი სტეპაშინი, რომელიც მან ამ პოსტზე 1999 წლის მაისში დანიშნა, ამ პრობლემას თავს ვერ გაართმევდა და არჩევანი სანქტ-პეტერბურგის მერის, ანატოლი სობჩაკის ყოფილ მოადგილეზე, რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელზე, ვლადიმერ პუტინზე შეაჩერა. რუსული და მსოფლიო საზოგადოებისათვის პუტინი სრულიად უცნობი პიროვნება იყო. ელცინმა იგი 1999 წლის აგვისტოში მოულოდნელად დანიშნა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად და თან რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე საკუთარ მემკვიდრედ გამოაცხადა. ამ არჩევანმა კარდინალურად შეცვალა რუსეთის გეოპოლიტიკური ბედი და იგი იქცა ზოგადად რუსული პოლიტიკური და მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური კურსის ცვლილების ეტაპადაც. პუტინი ხელისუფლების სათავეში მოვიდა იმ დროს, როცა იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რუსეთის უფსკრულში გადაჩეხას უკვე ვეღარაფერი ვეღარ შეაჩერებდა [4, 182].

პუტინმა თავის პოსტზე უპირველესი ყურადღება ჩეჩნეთზე და დაღესტანში გაჩაღებულ ომზე გაამახვილა. ამას მოჰყვა ჩეჩნეთის მეორე ომი [5, 249].

რუსეთის ახალმა პრემიერ მინისტრმა სიტუაციის კარდინალურ შეცვლაზე გააკეთა არჩევანი და დაიწყო ბრძოლა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, თანაც ისე, რომ არავითარი ორჭოფობა მას არ დაუწყია.

სექტემბრის შუა რიცხვებში პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება, ჩეჩნეთში სამხედრო ოპერაციის წარმოების შესახებ. 18 სექტემბერს რუსეთის არმიამ მოახდინა ჩეჩნეთის საზღვრების ბლოკირება. 23 სექტემბერს პუტინის კარნახით ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებას „რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიურ რეგიონებში ეფექტური კონტრტერორისტული ოპერაციის ეფექტური ზომების გაძლიერების შესახებ“. 23 სექტემბერს რუსეთის არმიამ დაიწყო გროზნოსა და მისი შემოგარენის მასობრივი დაბომბვა, ხოლო 30 სექტემბერს იგი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შევიდა [5, 329].

კრემლი ოპერაციის დროს ეყრდნობოდა ორ ძირითად პრინციპს: პირველი ეს იყო სრული განადგურება წინააღმდეგობის ყველა კერისა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მისი დაბრუნება რუსეთის ფედერალური მმართველობის ზონაში. მეორე, კონფლიქტის ე. წ. „ჩეჩენიზაცია“, რაც გულისხმობდა, თავის მხარეზე გადაბირებას იმ ძალებისა, რომლებიც მოსკოვის აზრით, ყველაზე ნაკლებად იყვნენ დაკავშირებული ე. წ. ატლანტიკურ ძალებთან. ჩეჩნეთში ასეთ ძალად რუსეთი მოიაზრებდა ახმად კადიროვს, რომელიც ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთისადმი, თუმცა მანამდე რუსეთს ებრძოდა [6, 315].

ამგვარ სტრატეგიას ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ძალებმა უპასუხეს გარე ძალების, მათ შორის დაქირავებული მებრძოლებისადმი თხოვნით, რათა არ დაეშვათ ჩეჩენი ხალხის გენოციდი. ამან როგორც ზოგიერთი რუსი პოლიტიკური ექსპერტი ფიქრობს, განხეთქილება შეიტანა ჩეჩნეთის მოსახლეობის უმრავლესობაში, რომელთათვის უცხო იყო როგორც „ვაჰაბიტური იდეოლოგია, ისე ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობები“ [7].

როგორც გეოპოლიტიკოსი ა. დუგინი ფიქრობს, „ჩეჩნეთის მეორე კამპანია ატარებდა წმინდა ევრაზიულ სახმელეთო გეოპოლიტიკურ ხასიათს და თანმიმდევრულად ეწინააღმ-დეგებოდა იმ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ, შეესუსტებინათ ცენტრიდანული ტენდენციები და დაენაწევრებინათ რუსეთი“ [1, 249]. აქ მართლაც გამოიკვეთა პუტინის ვექტორი. ესაა კარდინალური განსხვავება ელცინისა და პუტინის კურსს შორის. ამან რუსეთის ლიდერის პოპულარობა ერთი-ორად გაზარდა [8].

ვლადიმერ პუტინმა კატეგორიული უარი განაცხადა ჩეჩნეთის ლიდერთან შეხვედრაზე და მიუთითა, „არავითარი შეხვედრა იმისათვის, რომ „ბოევიკებს“ შესაძლებლობა მიეცეს, მოიშუშონ ჭრილობები“ [9, 357].

რუსეთის ლიდერი არ ისმენს ჩეჩნეთის საკითხთან დაკავ-შირებით არც ერთ პროდასავლურ პოზიციას. ამგვარ პოზიციას მოჰყვა თავისი შედეგი. რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩეჩნეთში შევიდნენ, როგორც ჩრდილოეთის, ისე ინგუშეთის მხრიდან და ერთიმეორის მიყოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები. 11 ნოემბერს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ცენტრი გუდერმესი საველე მეთაურებმა ძმებმა იამადაევებმა და ჩეჩნეთის მუფტმა ახმად კადიროვმა რუსეთის ფედერაციის ძალებს უბრძოლველად ჩააბარეს [10].

26 დეკემბერს დაიწყო ბრძოლა გროზნოსათვის. 2000 წლის თებერვალში რუსეთის არმიამ ჩეჩნეთის დედაქალაქი აიღო. იგი შეიძლება ითქვას, რომ მიწასთან იყო გასწორებული. ამის შემდეგ კრემლმა დაიწყო ჩეჩნეთის სხვა ტერიტორიის დაკავება, შემდეგ კი მთიან რაიონებს შეუტია. 2000 წლის 29 თებერვალს ფედერალური ძალების გაერთიანებული დაჯგუფების უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა გენადი ტროშევმა გამოაცხადა ჩეჩნეთში სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დასრულების შესახებ, თუმცა ეს უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, რადგან ბრძოლები ჩეჩნეთში კიდევ დიდხანს გრძელდებოდა [11].

2000 წლის 20 მარტს საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვლა-დიმერ პუტინი ჩეჩნეთს ეწვია, ხოლო 20 აპრილს გენშტაბის მეთაურის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი

მანილოვმა განაცხადა კონტრტერორისტული ოპერაციის სამ-ხედრო ნაწილის დასრულებისა და მისი სპეცოპერაციულში გადასვლის შესახებ [12].

9 მაისს გროზნოში „დინამოს“ სტადიონზე მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმზე აფეთქების ხმა გაისმა, სადაც დაიღუპა ჩეჩნეთის პრორუსი პრეზიდენტი ახმად კადიროვი. ამის შემდეგ ჩეჩნეთის ცალკეული პარტიზანული ჯგუფები აწყობდნენ თავდასხმებს რუსეთის ფედერალურ ნაწილებზე, მაგრამ ამას რაიმე სერიოზული შედეგი არ მოსდევდა. ამგვარი შეტაკებები ჩეჩნეთის საზღვრებს გარეთაც ხდებოდა [13].

2005 წლის 8 მარტს ფედერალური უშიშრების სამსახურის სპეცოპერაციის დროს დაიღუპა ჩეჩნეთის (იჩქერია) კანონიერი პრეზიდენტი ასლან მასხადოვი, ხოლო 2006 წლის 10 ივლისს იგუშეთში მოკლეს ტერორისტების ერთ-ერთი ლიდერი შამილ ბასაევი [14, 258].

2007 წელს ჩეჩნეთის ლიდერი გახდა 30 წლის რამზან კადიროვი, ახმად კადიროვის შვილი, რომელმაც მამის გზა განაგრძო, იგი დღესაც ჩეჩნეთის პრეზიდენტია. მიგვაჩნია, რომ შექმნილ სიტუაციაში მამა-შვილის პოლიტიკა წარმოადგენდა კომპრომისს რუსეთის ფედერაციასთან და მოსაზრებას, რომ ისინი ჩეჩენი ხალხის მოღალატეები არიან, ვერ გავიზიარებთ. კადიროვმა შეძლო ჩეჩნეთში რეფორმების გატარება. ჩეჩნეთი კი ტრადიციულ კავკასიურ ფასეულობებზე დაფუძნებული ავტონომიური რესპუბლიკაა [15].

სხვადასხვა მონაცემებით ჩეჩნეთის არმია 50 ათას კაცს მოითვლის, რომელიც საკმაოდ კარგადაა შეიარაღებული, იგი ფედერალურ ცენტრს ემორჩილება, მაგრამ შესაძლო გეოპო-ლიტიკური რყევების შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ იგი ჩეჩენი ხალხის სამსახურში იდგება. ჩვენ ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ დღევანდელი ჩეჩნეთის ხელისუფლება არ არის მარიონეტული ხელისუფლება, იგი თავიდან ბოლომდე კრემლის ინტერესების გამტარებელია, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში, ვფიქრობთ, სხვა გამოსავალი არ არსებობდა და შეიძლებოდა ჩეჩენი ხალხის სრული გენოციდი მიგვეღო. აქვე ვიტყვით

იმასაც, რომ ვლადიმერ პუტინმა ახალი ფურცელი გადაშალა რუსეთის გეოპოლიტიკაში. სწორედ მან შეაჩერა რუსეთის სრული გეოპოლიტიკური კატასტროფა. რუსული გადასახედიდან იგი ძლიერ და ჭკვიან პოლიტიკოსად გამოიყურებოდა [16, 182].

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პუტინის სხვა ნაბიჯები ევრაზიული პოლიტიკის გაგრძელება იყო. როგორც პოლიტიკოსი იგი სულით ევრაზიელი იყო. 2000 და 2004 წლების არჩევნების შემდეგაც მას ეს კურსი არ შეუცვლია. ეს მიმართულება განავითარა და განამტკიცა მისმა რეფორმებმა, რომელიც არსებითად ცვლიდა გორბაჩოვის და ელცინის პერიოდიდან დაწყებულ საგარეო პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და გეოპოლიტიკურ კურსს [17, 355].

ვფიქრობთ, პუტინის რეფორმებს დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თანამედროვე რუსულ და ნაწილობრივ დასავლურ გეოპოლიტიკურ აზრში ძირითადად თანხმდებიან იმაზე, რომ პუტინის დროს მოხდა:

90-იანი წლების კურსის, რომელიც რუსი პოლიტიკური ექსპერტების მიერ განიხილება, როგორც რუსეთის დესუვერენიზაციისა და გარედან ფაქტობრივი მმართველობის შემოღების, კრიტიკა და თანამედროვე რუსეთის სუვერენიტეტის, როგორც უმაღლესი ღირებულების თანამედროვე გამოხატულების დამკვიდრება;

რუსეთის შერყეული ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება და დაცვა მთელი რიგი, მათ შორის, მკაცრი სამხედრო საშუალებებით ჩეჩნეთსა და მთელ ჩრდილო კავკასიაში მისი პოზიციების გაძლიერება; 7 ფედერალურ ოლქში გაგება „სუვერენიტეტის“ ლიკვიდაცია საკანონმდებლო აქტებში; სეპარატიზმის აღკვეთის მიზნით, გადასვლა ფედერაციის სუბიექტების მეთაურების დანიშვნის სისტემაზე, არჩევითობის ნაცვლად (ეს ზომა მიიღეს ბესლანის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როცა ტერორისტების ხელში მძევლებად სკოლის ბავშვები აღმოჩნდნენ). აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ანტიტერორისტულ ოპერაციას აქ მრავალი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა;

საზღვარგარეთ განდევნა შედარებით ოდიოზური ოლიგარქებისა, რომელთაც მთელი ძალაუფლება ეპყრათ ხელში 90-იან წლებში (ბ. ბერეზოვსკი, ვ. გუსინსკი, ლ. ნევზლინი და ა. შ.)

და დევნა ჩადენილი დანაშაულებისათვის მ. ხოდორკოვსკის, პ. ლებედევისა და ა. შ.; ნაციონალიზაცია ნედლეულის შედარებით მსხვილი მონოპოლისტებისა და იძულება დანარჩენი ოლიგარქების, რომელთაც უნდა ეცნოთ ახლად არჩეული კურსის ლეგიტიმურობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებით რუსეთის სუვერენიტეტის განმტკიცებაზე;

ღია და დაუფარავი დიალოგის წარმოება აშშ-სა და დასავლეთთან აშშ-ს ჰეგემონიისა და ერთპოლარული მსოფლიოს ორმაგი სტანდარტების მიუღებლობა, მრავალპოლარულობისა და ყველა ძალასთან თანამშრომლობის სასარგებლოდ (ძირითადად კონტინენტურ ევროპასთან) რომელიც დაინტერესებული იქნებოდა ამერიკული ჰეგემონიის დაუშვებლობით. ეს ცხადია, რუსული ტრადიციული ფორმულა იყო, რომელიც ითვალისწინებდა ატლანტისტურ ბლოკში განხეთქილების შეტანას;

ინფორმაციული პოლიტიკის შეცვლა ძირითად ნაციონალურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რომელიც ადრე აშუქებდა თავიანთი ოლიგარქი მმართველების შეხედულებებს, ხოლო ამერიდან თავიანთი საქმიანობა სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის უნდა შეეხამებინა.

რუსეთის ისტორიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებიდან შემობრუნება, რაც ითვალისწინებდა დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული მიდგომების უკრიტიკოდ მიღების დაუშვებლობას და პატივისცემას რუსეთისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ფიგურების მიმართ. (კერძოდ, დაფუძნდა ეროვნული ერთიანობის დღე 4 ნოემბერი, ლიტველი და პოლონელი ოკუპანტებისაგან სახალხო ლაშქრის მიერ მოსკოვის განთავისუფლების პატივსაცემად);

ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა პოსტსაბჭოთა სივრცეში და დსთ-ს ქვეყნებში რუსეთის მოქმედების გააქტიურება, ასევე ჩამოყალიბება თუ გამოცოცხლება ინტეგრაციული სტრუქტურებისა – ისეთი როგორიცაა „ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობა“, „ერთიანი ეკონომიკური სივრცე“ და ა. შ.;

პარტიული ცხოვრების ნორმალიზაცია ოლიგარქიული სტრუქტურებისათვის პოლიტიკური ლობირების აკრძალვის ხარჯზე, რომლითაც ისინი თავიანთი კერძო და კორპორაციულ

ინტერესებს იცავდნენ და ამაში იყენებდნენ საპარლამენტო პარტიებს;

კონსოლიდირებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება ენერგორესურსებით ვაჭრობის სფეროში, რომელმაც რუსეთი მძლავრ ენერგეტიკულ სახელმწიფოდ აქცია, რომელსაც საშუალება აქვს, გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ პროცესებზე ევროპისა და აზიის მეზობელ რეგიონებზე. გაზისა და ნავთობის მილსადენებზე დაფუძნებული სქემები, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ მიემართება, ნათელ გამოხატულებად იქცა ახალი რუსეთის ენერგეტიკულ პოლიტიკაში. ამგვარი გეოპოლიტიკა ახალ დონეზე იმეორებს კლასიკური გეოპოლიტიკის ძირითად ძალოვან ხაზს.

ამ რეფორმებს, ცხადია, ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც. ესენი უმთავრესად იყვნენ გორბაჩოვისა და ელცინის ეპოქის პროდასავლური მოღვაწეები, რომელთაც ბევრი რუსი პოლიტიკური მკვლევარი თალასოკრატიის (საზღვაო იმპერიის) გავლენის აგენტებად მოიხსენიებს, რომელთაც გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა და გლობალური კაპიტალისტური ტენდენციები. პუტინის კურსზე ამგვარ წინააღმდეგობას ავლენდა მემარჯვენე ოპოზიციური პარტიები (იაბლოკო, პრავოე დელო).

ყველა ულტრალიბერალურ, პროამერიკულ პარტიასა და მოძრაობას რუსეთში აფინანსებდნენ, როგორც რუსი გეოპოლიტიკოსები ფიქრობენ, აშშ და დასავლური ფონდები. მიზანი პუტინის კურსიდან გადახვევა იყო. როგორც დუგინი ფიქრობს, ამ მიზანს ემსახურებოდა ფერადი რევოლუციებიც, რომლებიც დასავლეთის მიერ ფინანსდებოდა. ეს იყო ნარინჯისფერი რევოლუცია უკრაინაში, ვარდების რევოლუცია საქართველოში, ტიტების რევოლუცია ყირგიზეთში, არეულობები მოლდოვაში და ა. შ. [1, 358].

პუტინი და მისი პოლიტიკა იქცა გეოპოლიტიკური, სოციალური და მსოფლმხედველობრივი ტენდენციების გამოხატულებად, რომელიც მთლიანობაში ემყარებოდა სახმელეთო ცივილიზაციისა და რუსეთის გეოპოლიტიკური ისტორიის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს. თუ გორბაჩოვისა და ელცინის სისტემა სრულ

წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსული ძალის პოლუსთან, პუტინის პოლიტიკამ პირიქით, აღადგინა ტრადიციული რუსული ისტორიის მსვლელობა და დააბრუნა იგი ბუნებრივ გარემოში [18, 149]. ამიტომაც პუტინთან ერთპოლარული მსოფლიოს ფორმირების პროცესს შეხვდა ძლიერი წინააღმდეგობა. რუსეთმა – ევრაზიამ ახალი პრეტენზია განაცხადა მნიშვნელოვანი მსოფლიო ძალის პოლუსზე, რომელიც ევრო-ატლანტიზმს უპირისპირდებოდა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ამგვარი თეორია სრულად შეესაბამება რუსი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რუსეთი წარმოადგენს ბუნებრივ მოთამაშეს საერთაშორისო ურთიერთობებში და მას 2007 წლის მიუნხენის კონფერენციიდან მოყოლებული დღემდე ახალი მსოფლიო სტრატეგიული მიზნები აქვს გაცხადებული.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Дугин А. Г., Геополитика России, Москва, 2014.
2. Дугин А. Г., Основы евразийства, Москва, 2002.
3. Дугин А. Г., Четвёртый путь, Москва, 2014.
4. Баталов Э. Я., Русская идея и американская мечта, Москва, 2001.
5. Bennet V. Crying Wolf: The Return of War to Chechnya, London: Pan, 2011.
6. Benningsen-Broxup M. The North Caucasus Barrier: The Russian Advance Towards the Muslim World. New York: St Martin’s Press, 1992.
7. Bowen A. S., Sochi 2014: The Terrorist Threat, The National Interest [2013. URL: http:/ /nationalinterest.org /commentary /sochi-2014-the-terrorist-threat-8890
8. Cohen A., ‘The New Great Game’: Oil Politics in the Caucasus and Central Asia, The Heritage Foundation [Электронный ресурс] 1996, URL: https://www.heritage.org/europe/report/the-new-great-game-oil-politics-the-caucasus-and-central-asia
9. Дугин А. Г., Геополитика. Москва: Академический Проект, 2011.

10. Dzutsati V. Georgia May Become a Key Destination for North Caucasians if EU Grants It Visa-Free Entry, North Caucasus Weekly. 2016. Vol. 17 (15), Washington, DC: The Jamestown Foundation, URL: https://jamestown.org/program/georgia-may-become-a-key-destination-for-north-caucasians-if-eu-grants-it-visa-free-entry-2/
11. Emirov R., К вопросу о национальной безопасности России на Северном Кавказе, Власть, 2013, №4, URL: https://cyberleninka.ru/article/n/k-voprosu-o-natsionalnoy-bezopasnosti-rossii-na-severnom-kavkaze
12. Eneev D. O., Интересы западных стран на Северном Кавказе как угроза национальной безопасности России // Науковедение, 2014, №3(22), URL: http://cyberleninka.ru/article/n/interesy-zapadnyh-stran-na-severnom-kavkaze-kak-ugroza-natsionalnoy-bezopasnosti-rossii
13. Four Chechens Face Terrorism Charges in Poland, RFE/RL, 2016, URL: https://www.rferl.org/a/poland-chechens-charged-islamic-state-terrorism/28078132.html
14. Batchelor T., Russia Accuses UK of Helping Islamic State by 'Protecting Terrorist Who Finance Jihadis', Express 2016, URL: http://www.express.co.uk/news/uk/665021/Russia-accuses-UK-HELPING-Islamic-State-protecting-terrorists-finance-jihadis
15. Giacalone G., The Kavkaz Center and the Jihadist Threat / Radical Islam Monitor in Southeast Europe, 2014, URL: http://www.rimse.gr/2014/09/the-kavkaz-center-and-jihadist-threat.html
16. Бжезинский З., Выбор. Мировое господство или глобальное лидерство (The Choice: Global Domination or Global Leadership), Москва, 2007.
17. Amelina Y.A. Северокавказская политика Грузии после прихода к власти команды Иванишвили: ингушское направление, Проблемы Национальной Стратегии, 2014, Т. 4, № 25.
18. Вандам Е., Геополитика и геостратегия, Москва, 2002.

Zurab Kvetenadze
Georgian Technical University,
Doctor of history, Professor

SECOND WAR CAMPAIGN IN CHECHNYA AND PUTIN'S FACTOR IN THE CHANGE OF RUSSIA'S GEOPOLITICAL VECTOR

Summary

Currently, there is an ambiguous assessment of the current President of the Russian Federation, Vladimir Putin. Liberal political thought sees him as an authoritarian ruler who hinders the democratic development of Russia and the formation of civil society. However, the certain part believes that he is a strong ruler, that he greatly strengthened Yeltsin's Russia, which was into a whirlpool, and create a superpower state. As for the third part of scientists and political experts, they strongly believe that Putin is a acceptable figure for Russia since Russia will never become a Western democracy due to several factors, such a leader as Putin is acceptable to them. All of these views have their strong and weak sides. We assume that the assessment of a political leader by contemporaries is devoid of scientific meaning, moreover, it takes quite a long time. Nevertheless, there are real facts that still allow us to make certain conclusions from the data created in Russia during the last presidency of Boris Yeltsin. There was a kind of impression that after the disintegration of the Soviet Union, the Russian Federation would collapse. However, Russia not only withstood the test but during Putin's rule, it gained strength and became a superpower again.